შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდისათვის

თბილისი

2025

სარჩევი

შესავალი 3

უფროსი სპეციალური მასწავლებლის საგამოცდო პროგრამა 4

უფროსი სპეციალური მასწავლებლის საგამოცდო ტესტის აღწერა 8

ტესტურ დავალებათა ნიმუშები:

არჩევითპასუხებიანი დავალება 9

შესაბამისობის დავალება 12

ღია დავალება 13

ღია დავალების შეფასების სქემა 14

მასწავლებელთა პასუხებიდან შერჩეული ნიმუშების განხილვა 15

რეკომენდაციები 21

შესავალი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2021 წლიდან ატარებს უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდას. საგამოცდო ტესტი პროფესიულ უნარებში ეყრდნობა სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. სტანდარტში დეტალურადაა აღწერილი პროფესიული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთაც სპეციალური მასწავლებელი უნდა ფლობდეს. ტესტი მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ რამდენად აკმაყოფილებს სპეციალური მასწავლებელი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რამდენად შეუძლია მას მხარდაჭერა გაუწიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს სკოლაში. სტანდარტზე დაყრდნობით წინასწარ შემუშავებული იქნა საგამოცდო პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

უფროსი სპეციალური მასწავლებლის საგამოცდო

პროგრამა (პროფესიული უნარები)

1. სასწავლო პროცესი
1.1.პოზიტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო სასაწავლო გარემოს შექმნა. – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებსა და ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. – ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა. – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის კომუნიკაციის პროცესში დამხმარე ან/და ალტერნატიული საშუალებების გამოყენება. – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან კონფლიქტების პრევენცია, კონფლიქტების კონსტრუქციული მოგვარება, ბულინგის თავიდან აცილება. – მულტიდისციპლინურ გუნდთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან ეფექტიანი თანამშრომლობა, მათთვის რეკომენდაციების გაწევა. – არადისკრიმინაციული ტერმინოლოგიის დანერგვის ხელშეწყობა.

1.2 სასწავლო პროცესის დაგეგმვა

- ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის, მისი განხორციელების და მონიტორინგის პროცესში მონაწილეობა.
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებით საგნის/საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან, დამრიგებლებთან, სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და პრიორიტეტების დადგენა. ამის საფუძველზე მოსწავლისათვის ინდივიდუალური მიდგომის შემუშავება და საერთო საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა.
- მოსწავლეთა შესაძლებლობებზე დაყრდნობით მათი მომზადება ტრანზიციისათვის.

1.3 სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე რელევანტური ინსტრუქციების მომზადება.
- ინსტრუქციებთან დაკავშირებით მასწავლებლებისათვის რეკომენდაციების გაწევა.
- მულტიდისციპლინურ გუნდთან თანამშრომლობა და მათგან რეკომენდაციების მიღება.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაბამისი მიდგომების, მეთოდების/სტრატეგიების შერჩევა/გამოყენება.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ფუნქციური უნარების, ადაპტური ქცევებისა და სოციალური უნარების სწავლების მეთოდების ცოდნა/გამოყენება.
- პრობლემური ქცევის შეფასების, პრევენციისა და მართვის ტექნიკების ცოდნა/გამოყენება.

1.4 სასწავლო რესურსის გამოყენება – სსპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ადაპტირებული სასწავლო რესურსების (როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე) შერჩევა/გამოყენება. – საჭიროების შემთხვევაში რესურსის შექმნა, მასწავლებლებისათვის რეკომენდაციის გაწევა.
1.5 შეფასება – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება/რეფერირება. – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სხვადასხვა უნარის (კოგნიტური, აკადემიური, კომუნიკაციური, სოციალური, ემოციური, მოტორული და ფუნქციური) პირველადი შეფასება. – შეფასების საფუძველზე მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების განსაზღვრა და სასწავლო პროცესისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შეფასებისას ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და გენდერული თავისებურებების გათვალისწინება. – სწავლის შედეგების მონიტორინგი. – პორტფოლიოს შექმნა/წარმოება.

2. პროფესიული პასუხისმგებლობა და ეთიკა

2.1. თვითგანვითარებაზე ზრუნვა

- თვითშეფასების მეთოდების გამოყენება.
- ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება.
- კოლეგებთან თანამშრომლობა.
- მულტიდისციპლინურ გუნდთან, ისგ-ის (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის) ჯგუფთან აქტიური თანამშრომლობა.

2.2. სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდასაჭერად სკოლის ადმინისტრაციასთან, საგნის/საგნობრივი ჯგუფების პედაგოგებთან, ისგ-ის ჯგუფთან აქტიური თანამშრომლობა, რეკომენდაციების შემუშავება.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ეფექტიანი თანამშრომლობა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.

2.3. სკოლის განვითარებაზე ზრუნვა

- ინკლუზიური კულტურის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვა სასკოლო აქტივობებში.

უფროსი სპეციალური მასწავლებლის საგამოცდო ტესტის აღწერა

უფროსი სპეციალური მასწავლებლის ტესტი მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება პოზიტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემოს შექმნას, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიისა და სასწავლო რესურსის გამოყენებას, შეფასებასა და მასწავლებლის პროფესიულ პასუხისმგებლობას.

ტესტის აღწერა

უფროსი სპეციალური მასწავლებლის პროფესიული უნარების ტესტის მაქსიმალური ქულაა 54. იმისათვის, რომ აპლიკანტმა გადალახოს ბარიერი და მოიპოვოს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, მან უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი, ანუ 33 ქულა. გამოცდის ხანგრძლივობაა 4 საათი.

პროფესიული უნარების ტესტში 3 ტიპის დავალებაა:

- არჩევითპასუხებიანი
- შესაბამისობის
- ღია დავალებები

არჩევითპასუხებიანი და შესაბამისობის თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1, ხოლო ღია დავალებების - 3.

ტესტის სტრუქტურა:

საგამოცდო ტესტში სულ 40 დავალებაა. აქედან 30 არის არჩევითპასუხებიანი, 3 - შესაბამისობის, ხოლო 7 - ღია დავალება.

ტესტურ დავალებათა ნიმუშები:

არჩევითპასუხებიანი დავალებები შედგება პირობის, შეკითხვისა და სავარაუდო პასუხებისაგან, ან მხოლოდ შეკითხვისა და სავარაუდო პასუხებისაგან. ტესტში მოცემულ არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს და მათგან სწორი მხოლოდ ერთია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ტიპის დავალება ფასდება 1 ქულით.

1. არჩევითპასუხებიანი დავალება

საგამოცდო ტესტში მოცემულია 2 ტიპის არჩევითპასუხებიანი დავალება. გთავაზობთ მათ ნიმუშებს:

1.1.არჩევითპასუხებიან დავალებას თან ახლავს პირობა, რომელშიც აღწერილია სიტუაცია ან შეიცავს რაიმე ტიპის ინფორმაციას, შემდეგ კი დასმულია შეკითხვა. გამოსაცდელი კარგად უნდა გაეცნოს პირობას და ამის შემდეგ უპასუხოს დასმულ შეკითხვას. გთავაზობთ დავალების ნიმუშს.

დავალების ნიმუში:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეს უჭირს ვერბალური ინფორმაციის გადამუშავება. როდესაც მასწავლებელი მას სპონტანურად აძლევს ისეთ დავალებებს, რომლებიც წერას, კითხვას და კითხვებზე პასუხის გაცემას მოითხოვს, მოსწავლე იწყებს შფოთვას და უარს ამბობს მათ შესრულებაზე. ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება დაეხმარება ყველაზე მეტად სსსმ მოსწავლეს, რომ მან დაიწყოს დავალების შესრულება? ა) მასწავლებელი გაკვეთილზე სსსმ მოსწავლისათვის ამცირებს როგორც წერითი და ზეპირი დავალებების, ასევე ვერბალურად დასმული შეკითხვების რაოდენობას. ბ) მასწავლებელი ამცირებს სსსმ მოსწავლისათვის ტექსტებისა და წერითი დავალებების მოცულობას. ამასთან, მოსწავლეს უსვამს გამარტივებულ კითხვებს.

გ) მასწავლებელი მოსწავლეს ჰპირდება, რომ, თუ ყველა შეთავაზებულ აქტივობას შეასრულებს, გაკვეთილის ბოლოს მიიღებს მისთვის სასურველ ჯილდოს.

დ) მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს აქტივობების ვიზუალურ განრიგს, განუსაზღვრავს ვერბალური დავალებების რაოდენობას და მათი შესრულებისა თუ შესვენების დროებს.

სწორი პასუხი: დ

1.2.არჩევითპასუხებიანი დავალების ეს ტიპი გამოიყენება მაშინ, როდესაც ჩამოთვლილ დებულებათაგან მართებულია ერთი ან ერთზე მეტი. დავალებაში მოცემულია პირობა, შეკითხვა და რომაული ციფრებით აღნიშნული დებულებები, ან მხოლოდ შეკითხვა და რომაული ციფრებით აღნიშნული დებულებები; დებულებების შემდეგ კი მოცემულია სავარაუდო პასუხები. სავარაუდო პასუხები ამგვარად არის ფორმულირებული:

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

მათი კომბინაცია შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. გამოსაცდელი ირჩევს სავარაუდო პასუხებიდან ერთ-ერთს.

დავალების ნიმუში:



„მე სხვანაირი ვარ... მეხუთეკლასელი ვარ. აქამდე ნამდვილ სკოლაში არ მივლია და ახლა შიშით სული კოჭებში მეპარება, ბევრს ჰგონია, სკოლაში ამ ჩემი სახის გამო არ დავდიოდი, მაგრამ არა. იმიტომ არ დავდიოდი, რომ ოპერაციებს მიკეთებდნენ. თანაც რაკი ჩემს ტოლებზე ნელა ვიზრდები და სხვა სამედიცინო საიდუმლოებებიც მჭირს, ამიტომ ბევრს ვავადმყოფობდი. რომ გითხრათ, სკოლაში სიარული მუდამ მინდოდა მეთქი, მართალი არ ვიქნები. არა, ნდომით როგორ არ მინდოდა, ოღონდ იმ პირობით, თუ სხვა ბავშვებისნაირი ვიქნებოდი.“

ჯ. პალაციო, „საოცრება“.

ციტატაში წარმოდგენილი პრობლემის მსგავსი გვხვდება არაერთ სკოლაში, რაიმე ნიშნით განსხვავებულ მოსწავლეებს უჭირთ ხოლმე კლასთან ინტეგრირება.

რომელი სტრატეგიის/სტრატეგიების გამოყენებით დაეხმარება მასწავლებელი ასეთ მოსწავლეს კლასთან ინტეგრირებაში?

I. მასწავლებელმა მოსწავლეს შეურჩიოს პარტნიორი, დასვას მეგობრული და კონტაქტური ბავშვის გვერდით.

II. მასწავლებელმა არ გაამახვილოს ყურადღება იმ პრობლემებზე, რომლებიც კლასში მოსწავლის განსხვავებულობის გამო იქმნება, აქცენტი გადაიტანოს სასწავლო პროცესზე.

III. მასწავლებელმა მოსწავლეს ისეთი დავალებები მისცეს, რომლებიც სოციალურ ურთიერთობებს გულისხმობს - მაგ. ინფორმაციის გადაცემას ვინმესთვის ან პირიქით - მის მოპოვებას.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

სწორი პასუხი: ბ.

2. შესაბამისობის დავალება

შესაბამისობის დავალება მოცემულია ცხრილის სახით, რომელიც ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია დავალების პირობა (მაგ.: დებულება, მოვლენა, სიტუაცია და სხვ.), ხოლო მეორეში კი - სავარაუდო პასუხები (მაგ.: ცნებები, მიდგომები, სტრატეგიები, ავტორები და სხვ.). გამოსაცდელს ევალება, შეუსაბამოს ერთმანეთს სვეტებში მოცემული ინფორმაცია. ასეთი დავალების ამოხსნის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ გამოსაცდელმა გაითვალისწინოს:

- B სვეტში მოცემული რომელიმე პასუხი შეიძლება არ შეესაბამებოდეს A სვეტში მოცემულ არც ერთ დებულებას;
- B სვეტში მოცემული ერთ-ერთი პასუხი შეიძლება შეესაბამებოდეს A სვეტში მოცემულ ორ დებულებას;
- ერთ-ერთ სვეტში მოცემული ჩამონათვალი შეიძლება მეტი იყოს მეორე სვეტის ჩამონათვალზე.

დავალების ნიმუში:

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია მასწავლებლის ქმედებები, ხოლო B სვეტში - უნარები, რომელთა განვითარებასაც ისინი ხელს უწყობს. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

ქმედება (A)		უნარი (B)
I.	მასწავლებელმა მოსწავლეებს აარჩევინა თემა და ამ თემაზე მოთხრობის დაწერა დაავალა	ა) კრიტიკული აზროვნება ბ) ინფორმაციის დახარისხება გ) შემოქმედებითი აზროვნება დ) გაგება
II.	მასწავლებელმა მოსწავლეებს დაურიგა რამდენიმე თხზულება, სთხოვა, გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები და განემტკიცებინათ ისინი არგუმენტებით.	
III.	მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, რომ ემსჯელათ ახლად შესწავლილი ნაწარმოების დედააზრზე.	

პასუხი იწერება პასუხების ფურცელზე დავალების ნომრის გასწვრივ განთავსებულ ცხრილში:

ქმედება (A)	I	II	III
უნარი (B)	გ	ა	დ

შესაბამისობის დავალება ფასდება 1 ქულით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცხრილის **ყველა გრაფაში** პასუხი სწორად არის მითითებული.

3. ღია დავალება

ღია დავალება აფასებს სიტუაციის ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემის გადაჭრის გზების ძიების უნარებს, აგრეთვე პრობლემის პრევენციასა ან დაძლევაზე ორიენტირებული აქტივობების აღწერას და მათი შესაძლო შედეგების შეფასებას. ამ ტიპის დავალებას არა აქვს ერთი სწორი პასუხი, რადგან შეიძლება დავალებაში აღწერილი პრობლემა სხვადასხვა კუთხით გაანალიზდეს ან ერთი და იგივე პრობლემა განსხვავებული გზით დაიძლიოს.

ღია დავალების შეფასების ზოგადი კრიტერიუმები და სქემა

იმისათვის, რომ გამოსაცდელის პასუხი ღია დავალებებზე (##19, 20, 21, 37, 38, 39 და 40) სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

- პასუხი უნდა შეესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს.
- დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული.
- პასუხში არ უნდა მეორდებოდეს დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე.
- დავალება შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით.

თუ რომელიმე პირობა არ იქნება დაცული, ნაშრომი შეფასდება 0 ქულით.

შენიშვნა:

- ❖ დისკრიმინაციული ტერმინის გამოყენების შემთხვევაში პასუხი შეფასდება ერთით ნაკლები ქულით.
- ❖ პასუხი მაქსიმალური ქულით შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მოცემული რეკომენდაცია, სტრატეგია, განმარტება, პრინციპი თუ სხვა... პირდაპირ უკავშირდება დავალების პირობაში მოცემულ საკითხს

შეფასების სქემა

ქულა	აღწერა
3	პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, გამოსაცდელი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს **დავალების პირველ და მეორე მითითებას.**
2	პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრულყოფილი. დავალების **პირობის პირველ ან მეორე მითითებაზე** პასუხი არ არის სრული, ამომწურავი, აკლია სიცხადე და დამაჯერებლობა.
1	პასუხში ჩანს, რომ გამოსაცდელს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა. გამოსაცდელი უპასუხებს დავალების **პირობის მხოლოდ ერთ მითითებას.** ან გამოსაცდელი პასუხში აღწერის ან/და განმარტების გარეშე მხოლოდ ასახელებს დავალების პირობის შესაბამის ერთზე მეტ სტრატეგიას ან აქტივობას.
0	გამოსაცდელი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული — ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.

ღია დავალების ნიმუში

მაქსიმალური ქულა 3

მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სწავლისათვის სწორი მიმართულების მიცემა, მოსწავლეთათვის სასწავლო მიზნების განსაზღვრა. კვლევებმა ცხადყო, რომ სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, მოსწავლე თავად სწავლობს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დასახვას და შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესისათვის მიმართულების მიცემა, რაც დადებითად აისახება მის აკადემიურ მიღწევებზე. — რომელი მოთხოვნა/პირობა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მოსწავლეებისათვის მიზნების დასახვის დროს, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი სწავლის პროცესისათვის მიმართულების მიცემა. — დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

რას ვაფასებთ. მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ისე დაგეგმოს და წარმართოს სწავლების პროცესი, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს სხვადასხვა უნარის განვითარებაში. დავალება აფასებს იმას, თუ რამდენად იცის გამოსაცდელმა რა ფაქტორები განაპირობებს მიზნების დასახვის ეფექტიანობას და შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს, ისწავლონ საკუთარი სწავლის პროცესისათვის მიმართულების მიცემა.

შეფასების კრიტერიუმები. ეს დავალება 3-ქულიანია. გამოსაცდელმა დავალების პირობის შესაბამისად: (1) უნდა დაასახელოს პირობა/მოთხოვნა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის მიზნების დასახვის დროს, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი სწავლის პროცესისათვის მიმართულების მიცემა და (2) დაასაბუთოს საკუთარი პასუხი - ახსნას, რატომ არის მნიშვნელოვანი და/ან როგორ დაეხმარება დასახელებული პირობის/მოთხოვნის გათვალისწინება.

მაქსიმალური (3) ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, დასახელებულია მოსწავლის მიერ მიზნის დასახვისა და სწავლისათვის მიმართულების მიცემისათვის მნიშვნელოვანი არსებითი მოთხოვნა/პირობა. პასუხი არგუმენტირებულია, მსჯელობა დამაჯერებელია, თანმიმდევრული და ლოგიკური.

ღია დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან შერჩეულ ზოგიერთ ნიმუშს.

ნიმუში #1

პასუხი შეფასებულია 3 ქულით.



განმარტება. წარმოდგენილ ნიმუშში გამოსაცდელი პასუხობს დავალებაში მოცემულ ორივე მითითებას, განმარტებულია მოსწავლეთათვის მიზნების დასახვის მნიშვნელოვანი პირობა, იმისათვის, რათა მათ ისწავლონ და შემდგომ თავად შეძლონ სწავლისათვის მიმართულების მიცემა. ამასთან განმარტავს, რატომ არის მნიშვნელოვანი მის მიერ დასახელებული პირობის გათვალისწინება. ამგვარი მსჯელობა, შეფასების სქემის მიხედვით, ფასდება მაქსიმალური 3 ქულით.

ნიმუში #2

პასუხი შეფასებულია 2 ქულით.



განმარტება. მოცემულ ნიმუშში გამოსაცდელი სრულად პასუხობს პირველ მითითებას - სწორად არის დასახელებული ის მოთხოვნა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის მიზნების დასახვის დროს. ასევე, მსჯელობაში მოცემულია პასუხი მეორე მითითებაზეც - გამოსაცდელი განმარტავს საკუთარ პასუხს, მოყვანილი არგუმენტები ადეკვატურია, თუმცა ძალიან ზოგადი, მკაფიოდ და ნათლად არ არის განმარტებული, დასახელებული პირობის გათვალისწინება როგორ უწყობს ხელს მოსწავლეებს, ისწავლონ სწავლისათვის მიმართულების მიცემა.

ნიმუში #3

პასუხი შეფასებულია 1 ქულით.



განმარტება. როგორც ვხედავთ, გამოსაცდელი ადეკვატურად და ამომწურავად სცემს პასუხს დავალების პირობის პირველ მითითებას, მეტიც, გამოსაცდელი ასახელებს არა ერთ მნიშვნელოვან პირობას/მოთხოვნას, არამედ რამდენიმეს, რომელთა დაცვა/გათვალისწინება ეხმარება მოსწავლეებს თავად ისწავლონ მიზნების დასახვა და საკუთარი სწავლისათვის მიმართულების მიცემა, თუმცა არ არის განმარტებული, რატომ არის მნიშვნელოვანი ეს ყოველივე, ანუ გამოსაცდელი არ პასუხობს მეორე მითითებას. შეფასების სქემის თანახმად, ამგვარი პასუხები ფასდება 1 ქულით.

ნიმუში #4

პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

23. მასწავლებლისთვის ნიშვნელოვანია სკოლაში მოსწავლისთვის დადებითი გარემოს შექმნა. სადაც მისთვის სასწავლო პროცესი საინტერესო იქნება. ნიშვნელოვანია მასწავლებელი უნდა იყოს მეგობრულად განწყობილი, მიუტანებელი, მაგალითის მიმცემი მოსწავლისთვის. ეს ითვალისწინებს კიდევ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე. მისი მიზნების დასმაში დამოუკიდებლად შეძლებს.

ნიმუში #5

პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

23. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ასწავლის სასწავლო პროგრამის მიხედვით. ლექციებად ან მოთხრობებად ან ინტერესთან ერთად.

ნიმუში #6

პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

23. მასწავლებელმა მოსწავლეების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ გამოცდილებიდან უნდა გითვალისწინოთ, რომ ეხმარი ან იმავე. მეთოდიკა ყველა მოსწავლე ვერ ახერხებს კონკრეტული მასალის ათვისებას. მასწავლებელმა განსხვავებული მეთოდები უნდა გამოიყენოთ მოსწავლეთა სასწავლო პროცესის წარმართვის დროს, იმიტომ რომ ზოგიერთ მოსწავლეებმა თავადვე ეძიონ ან ლაბორატორიულ, ან მეთოდის, ან სტრატეგიების გამოყენებით წარმართონ სასწავლო პროცესი, რაც შედეგებში მათ აუცილებლად მოსწონებულ ეტყვიან.

განმარტება. წარმოდგენილი ნიმუშები შეფასებულია 0 ქულით. სამივე შემთხვევაში მსჯელობა აცდენილია დავალების პირობას/მითითებას, ეს მაგალითები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მათში გადმოცემული მოსაზრებები ზოგადად მართებულია, მაგრამ არ პასუხობს დავალების მთავარ კითხვას – როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს მიზნების დასახვა ნაცვლად ამისა, მათში საუბარია სკოლაში დადებითი ატმოსფეროს შექმნასა და სწავლების მეთოდების მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე (ნიმუში 4 და 6), ხოლო ერთ მათგანში (ნიმუში 5) მხოლოდ მოცემულია დავალების პირობის მხოლოდ პერიფრაზი. ამგვარი პასუხები შეფასების სქმის მიხედვით ფასდება 0 ქულით.

ღია დავალების შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები:

- ზოგადი მსჯელობა დავალების პირობაში დასმული საკითხის მნიშვნელობაზე. პირობის მოთხოვნაზე პასუხის ნაცვლად გამოსაცდელები ხშირად მსჯელობენ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ თავად შეძლოს მიზნების დასახვა და სწავლისათვის მიმართულების მიცემა. როგორ აისახება ეს ყოველივე აკადემიურ შედეგებზე და ამა თუ იმ უნარის თუ პიროვნული თავისებურების განვითარებაზე.
- უნივერსალური მოთხოვნების/პირობების დასახელება დასაბუთების გარეშე. გამოსაცდელთა ნაწილი ასახელებდა უნივერსალურ მოთხოვნებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია ნებისმიერი სასწავლო აქტივობის გამოყენების დროს. მაგალითად, მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. ამასთან, პასუხებში ან საერთოდ არ ფიგურირებდა დასაბუთება, ან მოყვანილი არგუმენტი იყო ძალიან ზოგადი, სქემატური და ფაქტობრივად იმეორებდა დავალების პირობას. ამგვარ შემთხვევაში შეუძლებელია იმის შეფასება, იცის თუ არა მასწავლებელმა როგორ დაუსახოს მოსწავლეებს სასწავლო მიზნები და თავად კი არ წარმართოს მოსწავლეთა სწავლის პროცესი, არამედ დაეხმაროს მოსწავლეებს, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ სწავლის პროცესისათვის მიმართულების მიცემა.

რეკომენდაციები, რომლებიც სასურველია, გაითვალისწინოთ ღია დავალებაზე პასუხის გაცემის დროს:

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა, საკითხზე პასუხის გაცემისას გაითვალისწინეთ დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია და თქვენი მსჯელობა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმართეთ.
- დავალების პირობის შემდეგ ყურადღებით წაიკითხეთ, რას მოითხოვენ თქვენგან; დავალებათა უმეტესობას თან ერთვის მითითებები, რომლებიც გეხმარებათ იმის განსაზღვრაში, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მსჯელობა და რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს პასუხი.
- უპასუხეთ ყველა მითითებას - პასუხი მაქსიმალური ქულით ფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელი უპასუხებს ყველა კითხვას / მითითებას, რომელთაც მოითხოვს დავალება. გახსოვდეთ, თუ გთხოვენ, აღწეროთ პრობლემის გადაჭრის გზა, შეფასდება თქვენ მიერ ადეკვატურად დაწერილი ერთი პასუხი. მეორე ან მეტი ვარიანტის შემოთავაზების შემთხვევაში დამატებითი ქულები არ იწერება.
- შემოიფარგლეთ დავალების პირობითა და მითითებებით. თქვენი პასუხი უნდა იყოს ლაკონიური. ქულა იწერება კონკრეტულ პასუხებში. შეეცადეთ, თავი აარიდოთ მოცემული საკითხის შესახებ ზოგად მსჯელობებსა და შეფასებებს.
- პასუხის გაცემისას თავი აარიდეთ ტესტში მოცემული ინფორმაციის გამეორებას. შეფასების სქემაში მკაფიოდ წერია, რომ ღია დავალება სწორდება იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: (1) შეესაბამება მოცემულ საკითხს - დავალების პირობა სწორადაა გააზრებული, (2) პასუხში არ უნდა მეორდებოდეს დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. მაგ., იმ შემთხვევაში, თუ დავალება მოითხოვს პრობლემის გადასაჭრელი სტრატეგიის აღწერასა და მისი ეფექტიანობის დასაბუთებას, დავალების პირობაში მოცემული ინფორმაციის/ფაქტების მხოლოდ ციტირება ან სხვა სიტყვებით გადმოცემა არ მიიჩნევა სწორ პასუხად.
- სასურველია, თქვენი ნაწერი არ გასცდეს პასუხისათვის განკუთვნილ არეს. ყურადღება მიაქციეთ პასუხების ფურცელზე კონკრეტული დავალებისთვის გამოყოფილ არეს და

შესაბამისად განსაზღვრეთ, რა მოცულობის ტექსტით უნდა უპასუხოთ დავალებაში მოცემულ მითითებებს.

რეკომენდაცია:

სპეციალურ მასწავლებლებსა და დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ მოცემული საკითხების გასაცნობად და გამოცდისათვის მოსამზადებლად ეწვიონ ვებგვერდს: http://inclusion.ge/